



რაჭაში ტყეს ბიძინა ივანიშვილის კომპანიები ჭრიან, სვანეთში ინვესტორი და მოსახლეობა

access_time 2018-07-09 18:00:45

Global Forest Watch-ის მონაცემებით კი, 2001-2017 წლებში საქართველოში 9,700 ჰექტარი ტყე გაქრა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ტყის ყველაზე დიდი მოცულობა 2014 წელს გაიჩნა და 1,97 ჰექტარი შედგინა.

Global Forest Watch-ის კვლევა ასევე აჩვენებს, რომ 2017 წელს ტყის მასივი ყველაზე მასშტაბურად 5 რეგიონში შემცირდა, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში - 1,9%, თბილისში - 0,8 %, ქვემო ქართლში -0,52%, კახეთში - 0,32%, იმერეთში -0,27%.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი „კომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ ზუსტი მონაცემის დადგენა, თუ რა მოცულობის ტყე იჩებება საქართველოში რთულია:

„გაცილებით მეტი იჭრება ვიდრე რეალური სტატისტიკა აჩვენებს. Global Forest Watch -ს აქვს სპეციალური რუკა სადაც ჩანს ტყის გამეჩხერების მონაცემი. ასევე არის კოსმოსური რუკა, თუმცა ყველა ჭრის გადაღება შეუძლებელია, რეალურად ადგილზე უარესი სიტუაციაა.“

ირაკლი მაჭარაშვილის შეფასებით, ბოლო წლებში ყველაზე მეტი ზიანი ტყეს იმ კომპანიებისგან მიადგა, რომლებიც ჭრას ახორციელებდნენ საკუთარი ბიზნესის გასაფართოებლად:

„ ტყეების ის რაოდენობა რაც გაანადგურა „არემჯი გოლდმა“ ღმანისში, ბოლნისში და თერწყაროში საკმაოდ მასშტაბურია. ასევე საკმაოდ მოცულობითი ტყეები განხორციელდა სვანეთში „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობამდე და შემდეგაც. ადგილობრივი მოსახლეობისგან მაქვს ინფორმაცია, რომ იმ ტერიტორიის მიმდებარედ სადაც „ნენსკრა ჰესი“ აშენდა ხდებოდა უკანონო ტყეები. რასაც აფიქსირებდა შსს, თუმცა ამის გამო არავინ დასჯილა. საკმაოდ მასშტაბურია ტყეები რაჭაში, სადაც ბიძინა ივანიშვილის რამდენიმე კომპანია ფლობს ლიცენზიას და ახდენს ხე-ტყის ლეგალურად ტრას.“

რომელი კომპანიები ფლობენ ხე-ტყის ტრაზე ლიცენზიას და რომელ რეგიონებში ხდება კომერციული ტრა, ასევე რა მოცულობს მწვანე საფარი გაანადგურეს ბიზნესკომპანიებმა მიზნობრივად ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად, ამ თემაზე ინფორმაციას „კომერსანტი“ ეროვნული სატყეო სააგენტოდან ელოდება.

როგორ რეგულირდება ხე-ტყის ტრა

დღეს არსებული მონაცემებით ქვეყანაში ტყის ტრა კომპანიისათვის მიცემული ხანგრძლივ ვადიანი -ლიცენზიის მეშვეობით ხდება. 2018 წელს ამ მიმართულებით ლიცენზია არ გაცემულა. თუმცა ტყეები მაინც ხდება, რადგან კომერციული ორგანიზაციები ფლობენ ხე-ტყის ტრაზე ვადიან ლიცენზიას.

ტყის მოცულობის შემცირება ხდება ასევე სპეციალური ტრებით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ინფრასტრუქტურული პროექტების გამო. მაგალითად ჰესის მშენებელ კომპანიას შეიძლება სახელმწიფომ მისცეს უფლება რაღაც ფართობზე ხე-ტყე პირწმინდად მოჭრას. ასევე კომერციულ ორგანიზაციებს მისცენ ხე-ტყის დამზადების ფუნქცია. არსებობს ასევე ეგრეთწოდებული ტყის სოციალური ტრა როდესაც, პირადი მოხმარების მიზნით მოსახლეობას ეძლევა საშუალება მერქნის მოპოვების უფლება. ამას ემატება არალეგალური ტრებიც.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყნიდან (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე ტყის მასალის ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

2012 წელს ქვეყნიდან 9, 516 300 აშშ დოლარის ღრებულების (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე ტყის მასალა გავიდა. 2013 წელს - 11,730 600 აშშ დოლარის, 2014 წელს 11 331 000 აშშ დოლარის. 2015 წელს ექსპორტი ოდნავ შემცირდა და 10 937 200 აშშდოლარი შეადგინა. 2016 წლიდან ეს მაჩვენებელი მზარდია. ამ წელს ქვეყნიდან 13 612 000 აშშ დოლარის ღირებულების (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე ტყის მასალა გავიდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 16 799 100 აშშ დოლარს გაუტოლდა. 2018 წლის იანვარ-მაისში კი ექსპორტმა 289 600 აშშ დოლარი შეადგინა.

ნინო ნატროშვილი
